გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა საბჭო

ევროპის ეკონომიკური კომისია

გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციის მხარეების შეხვედრა

შესაბამისობის კომიტეტი

67-ე შეხვედრა

ჟენევა (online), 6-10 ივლისი 2020

წინასწარი დღის წესრიგის მე-12 პუნქტი

შესაბამისობის კომიტეტის 67-ე შეხვედრის ანგარიში

დანართი

განცხადება ორჰუსის კონვენციის გამოყენების შესახებ COVID-19-ის პანდემიის დროს და შემდგომ, ეკონომიკის აღდგენის ეტაპზე

მიღებულია 2020 წლის 2 სექტემბერს

გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციის (ორჰუსის კონვენციის) შესაბამისობის კომიტეტი,

შეშფოთებულია მხარეების მიერ კონვენციის გამოყენებით COVID-19-ის პანდემიის დროს და შემდგომ, ეკონომიკის აღდგენის ეტაპზე;

აღნიშნავს კონვენციის მიზანს, „უზრუნველყოფილ იქნეს ახლანდელი და მომავალი თაობების ყოველი ადამიანის უფლება, იცხოვროს საკუთარი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის შესაფერის გარემოში“ (კონვენციის პირველი მუხლი);

აგრეთვე აღნიშნავს კომიტეტის მიზანს, „ხელი შეუწყოს და გაუმჯობესოს შესაბამისობა“ კონვენციასთან (მხარეთა შეხვედრის I/7 გადაწყვეტილებაზე მითითება);

იღებს შემდეგ დადგენილებას COVID-19-ის პანდემიის დროს კონვენციის გამოყენების შესახებ:

ა. ზოგადი საკითხები

1. კომიტეტი გამოთქვამს შეშფოთებას, რომ მხარეებმა შესაძლოა შემოიღონ და შეეცადონ გაამართლონ კონვენციით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვები COVID-19-ის პანდემიით ან ეკონომიკის სწრაფი აღდგენის აუცილებლობით, რაც პანდემიითაა გამოწვეული.

2. კომიტეტი მიესალმება ზოგიერთი მხარის მიერ გამოყენებულ კონსტრუქციულ მიდგომას, გამონახოს გზები COVID-19-ის პანდემიის დროს კონვენციის მოთხოვნების დაცვის უზრუნველსაყოფად და ამ მიზნით მიიღოს რჩევები კომიტეტისგან. კომიტეტი მოუწოდებს მხარეებს, კარგი პრაქტიკის მაგალითზე ისწავლონ კონვენციის სტანდარტების დაცვა COVID-19-ის პანდემიის დროს და შემდგომ, ეკონომიკის აღდგენის ეტაპზე, და სთავაზობს, საჭიროების შემთხვევაში, რჩევისთვის მას მიმართონ. კომიტეტი გამოთქვამს მზადყოფნას, დაეხმაროს მხარეებს ამ საკითხში.

3. კონვენციით განსაზღვრული უფლებები წარმოადგენს ფუნდამენტურ უფლებებს დემოკრატიულ საზოგადოებაში და უზრუნველყოფს კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებების დაცვას გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში.

4. კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ისეთი კრიზისის შემთხვევაშიც კი, როგორიცაა COVID-19-ის პანდემია და შემდგომ, ეკონომიკის აღდგენის ეტაპი, კონვენციით გათვალისწინებული სავალდებულო უფლებების შემცირება ან შეზღუდვა არ შეიძლება. მეტიც, თუ შეუძლებელია გარემოსთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად დადგენილი პრაქტიკის გამოყენება, მაშინ ნებისმიერი ალტერნატიული საშუალება კონვენციის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს.

5. კომიტეტი შეახსენებს მხარეებს, რომ COVID-19-ის პანდემიის დროს ან შემდგომ, ეკონომიკის აღდგენის ეტაპზე, ნებისმიერი გადაცდომა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ეფექტიანობის უზრუნველყოფაში, შეიძლება სადავო გახდეს საზოგადოების წევრების მიერ კონვენციის მე-9 მუხლის დებულებების შესაბამისად.

6. კომიტეტი აგრეთვე შეახსენებს მხარეებს, რომ COVID-19-ის პანდემიის დროს, ან შემდგომ, ეკონომიკის აღდგენის ეტაპზე, ნებისმიერი გადაცდომა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ეფექტიანობის უზრუნველყოფაში, შეიძლება გახდეს კომიტეტისთვის შეტყობინების, წარდგენის ან მიმართვის საგანი, მხარეთა შეხვედრის I/7 გადაწყვეტილების შესაბამისად.

ბ. ზოგადი ვალდებულებები

ცხადი, გამჭვირვალე და თანამიმდევრული სტრუქტურა – მუხლი 3(1)

7. COVID-19-ის პანდემიის დროს და შემდგომ, ეკონომიკის აღდგენის ეტაპზე, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ცხადი, გამჭვირვალე და თანამიმდევრული სტრუქტურის არსებობა, რათა საზოგადოების წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდეთ გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე მოიძიონ ინფორმაცია, ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ხელი მიუწვდებოდეთ მართლმსაჯულებაზე. თანმიმდევრული სტრუქტურის არსებობის ვალდებულება გულისხმობს, რომ აღნიშნული შესაძლებლობები უნდა შეესაბამებოდეს და არ განსხვავდებოდეს იმ შესაძლებლობებისგან, რომლებიც საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია ჩვეულებრივ დროს. ამ მიზნით, შესაძლოა საჭირო გახდეს საჯარო ხელისუფლებისა და სასამართლოების დამატებითი ძალისხმევა იმის უზრუნველსაყოფად, რომ პრაქტიკაში, კონვენციით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებისას, საზოგადოება წაგებიან მდგომარეობაში არ აღმოჩნდეს.

საზოგადოების დახმარება და სახელმძღვანელო მითითებები – მუხლი 3(2)

8. COVID-19-ის პანდემიის დროს და შემდგომ, ეკონომიკის აღდგენის ეტაპზე, მხარეთა ხელისუფლების ორგანოებმა და ოფიციალურმა პირებმა უნდა გაიღონ დამატებითი ძალისხმევა და მეტი დრო დაუთმონ დახმარების გაწევასა და სახელმძღვანელო მითითებების გაცემას, რათა საზოგადოებას განუმარტონ, თუ როგორ შეუძლიათ გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე მოიძიონ ინფორმაცია, ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ხელი მიუწვდებოდეთ მართლმსაჯულებაზე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, თუ რეგულაცია ან პრაქტიკა დროებით მოქმედებს და კონვენციით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებას ეხება.

არავითარი დასჯა, დევნა ან შევიწროება – მუხლი 3(8)

9. კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოთხოვნა, თითოეულმა მხარემ უზრუნველყოს, რომ კონვენციით გათვალისწინებული უფლებების განმახორციელებელი პირები არ იქნენ დასჯილნი, დევნილნი ან რაიმე ფორმით შევიწროებულნი თავიანთი ჩართულობის გამო, თანაბრად ვრცელდება კონვენციის ყველა ასპექტზე COVID-19-ის პანდემიის დროს და შემდგომ, ეკონომიკის აღდგენის ეტაპზე.

არავითარი დისკრიმინაცია – მუხლი 3(9)

10. COVID-19-ის პანდემიის დროს და შემდგომ, ეკონომიკის აღდგენის ეტაპზე, შესაძლოა საჭირო გახდეს სპეციალური ღონისძიებების გატარება იმ მიზნით, რომ გარემოსთან დაკავშირებული საკითხების შესახებ სხვა ქვეყნის წარმომადგენლებს ხელი მიუწვდებოდეთ ინფორმაციაზე, მართლმსაჯულებაზე და ჰქონდეთ შესაძლებლობა, ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, მიუხედავად მათი მოქალაქეობის, ეროვნებისა და საცხოვრებელი ადგილისა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც ინფორმაციის მოძიება, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ეხება ისეთ საქმეებს, რომლებსაც პოტენციურად შესაძლოა ტრანსსასაზღვრო გავლენა ჰქონდეთ.

გ. სპეციალური ვალდებულებები

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა – მუხლები 4 და 5

11. კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მოთხოვნები თანაბრად მოქმედებს COVID-19-ის პანდემიის დროს და შემდგომ, ეკონომიკის აღდგენის ეტაპზე. ეს მოიცავს დადგენილი ვადების დაცვას, უარის თქმის მკაცრად შეზღუდვას მხოლოდ მე-4 მუხლით გათვალისწინებულ კონკრეტულ შემთხვევებში უარის თქმის საფუძვლების განმარტებით, საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას ინფორმაციის გამჟღავნებაზე და გარკვევას, ეხება თუ არა მოთხოვნილი ინფორმაცია გარემოს დაბინძურებას.

12. მიუხედავად იმისა, რომ გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვებისა და გავრცელების ვალდებულება, როგორც ეს მოცემულია მე-5 მუხლში, თანაბრად მოქმედებს COVID-19-ის პანდემიის დროს და შემდგომ, ეკონომიკის აღდგენის ეტაპზე, კომიტეტი შეახსენებს მხარეებს, რომ ასეთი ინფორმაცია შეიცავს ინფორმაციას თავად პანდემიასთან დაკავშირებით, როდესაც გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება ხდება კონვენციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა – მუხლები 6-8

13. კომიტეტი აღნიშნავს, რომ მოთხოვნები, რომლებიც კონვენციის შესაბამისად უზრუნველყოფს საზოგადოების ჩართულობას ყველა ტიპის გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თანაბრად მოქმედებს COVID-19-ის პანდემიის დროს და შემდგომ, ეკონომიკის აღდგენის ეტაპზე.

14. კომიტეტი მხარეებს შეახსენებს კონვენციის მე-6 - მე-8 მუხლების შესაბამისად გადაწყვეტილების მიღებაში საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველყოფის ზოგად ვალდებულებას. ვალდებულება, უზრუნველყოს საზოგადოების ეფექტიანად მონაწილეობის შესაძლებლობა, წარმოადგენს ფუნდამენტურ სტანდარტს, რომლის შესაბამისად უნდა შეფასდეს საზოგადოების მონაწილეობის კონვენციით გათვალისწინებული პროცედურის ყველა ელემენტი, და იგი თანაბრად მოქმედებს საზოგადოების მონაწილეობის პროცედურებზე COVID-19-ის პანდემიის დროს და შემდგომ, ეკონომიკის აღდგენის ეტაპზე.

მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა – მუხლი 9

15. კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მე-9 მუხლის მოთხოვნები, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე მე-4 მუხლით დადგენილი ინფორმაციის გამოთხოვასთან მიმართებით, მე-6 მუხლით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებთან, ქმედებასთან ან უმოქმედობასთან დაკავშირებით, ასევე ნებისმიერი კერძო პირის ან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს ქმედებასთან ან უმოქმედობასთან დაკავშირებით, რომლებიც ეწინააღმდეგება გარემოს დაცვის ეროვნულ დებულებებს, თანაბრად მოქმედებს COVID-19-ის პანდემიის დროს და შემდგომ, ეკონომიკის აღდგენის ეტაპზე.

16. კომიტეტი შეახსენებს მხარეებს, რომ COVID-19-ის პანდემიის პერიოდში და შემდგომ, ეკონომიკის აღდგენის ეტაპზე თანაბრად მოქმედებს მოთხოვნები, რომლებიც გულისხმობს, რომ განხილვის პროცედურები უზრუნველყოფს სამართლებრივი დაცვის ადეკვატურ და ეფექტიან საშუალებებს, მათ შორის, დროებით დახმარებას საჭიროებისამებრ, და არის სამართლიანი, თანაზომიერი, დროული და არც მეტისმეტად ძვირი.

დ. დასკვნა

17. კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კონვენცია სრულად და თანაბრად მოქმედებს COVID-19-ის პანდემიის დროს და შემდგომ, ეკონომიკის აღდგენის ეტაპზე და კონვენციით განსაზღვრული სავალდებულო უფლებების შემცირება ან შეზღუდვა არ შეიძლება. შესაბამისად, მხარეებს არ შეუძლიათ კონვენციით დადგენილი უფლებების რაიმე შეზღუდვის გამართლება COVID-19-ის პანდემიით ან ეკონომიკის სწრაფი აღდგენის აუცილებლობით, რაც პანდემიითაა გამოწვეული. COVID-19-ის პანდემიის დროს ან შემდგომ, ეკონომიკის აღდგენის ეტაპზე კონვენციით გათვალისწინებული უფლებების განსახორციელებლად შემოღებული ნებისმიერი ალტერნატიული საშუალება სრულად უნდა აკმაყოფილებდეს კონვენციით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

HEINRICH BÖLL STIFTUNG
თბილისი
სამხრეთ კავკასია

დოკუმენტის არაოფიციალური თარგმანი შესრულებულია მწვანე ალტერნატივას, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისთან თანამშრომლობით, მიმდინარე პროექტის ფარგლებში - „ადვოკატირება მინერალური რესურსების გამჭვირვალე და პასუხისმგებლიანი მართვისთვის“.

© მწვანე ალტერნატივა, 2020

მწვანე ალტერნატივა
თბილისი, 0179,
ფალიაშვილის ქ. #39ბ, IV სართული
ტელ.: 222 38 74
GREENALT@GREENALT.ORG
WWW.GREENALT.ORG